ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 66

13 სექტემბერი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი.
სხდომას ესწრებოდა:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი-გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი-ნინო კვეტენაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო და კენჭი უყარა დღის წესრიგს.

დღის წესრიგი:

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი: ქ"თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ (#11-01192493348; #11-1192532172;#11-01192552150)
2. ქალაქ თბილისში,სოფელ გლდანში, ავჭალის მასივის ტერიტორიაზე არსებული 90 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:#72.13.37.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.(#12-03192418-03)
3. ქალაქ თბილისში,დიდი დიღომი, IV მიკრორაიონში, 25-ე კორპუსის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11 774 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.10.07.004.025) ყოფილი საბინაო-სამშენებ;ო კოოპერატივების წევრებისთვის /მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება. (#12-03192419-03)
4. ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი #27-ის მიმდებარედ არსებული 24 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:#01.15.04.015.013) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „რ ჯგუფისთვის" (ს/კ 404421737) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.(#12-031924159-03)
5. ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა #7-ის მიმდებარდ არსებული 221 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი:01.18.03.062.008) 11 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალენისთვის" (ს/კ 404497665) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. (#12-031924159-03)
6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთღებაში არსებული (#01.18.03.033.012; #01.18.03.033.010; #01.18.03.015.016; #01.18.03.015.019; #01.18.03.015.014 და #01.18.03.033.011 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის -საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.(#12-031908643-03)

7. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 862 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:#01.14.01.002.108) საჯარო სამართლის იურიდიული პირის -საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.(#12-03192549-03)
8. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრზე მდებარე 1367 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.007.615), ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 2173 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.11.001.168) და ქ. თბილისში, წურწუმიასა და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.050.017) შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ"-ისთვის (ს/კ 404520363) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N130 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და საიჯარო პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიების თაობაზე". (#12-03192557-03)
9. ქალაქ თბილისში, ბალანჩივაძის ქუჩა #37-ის მიმდებარედ, 8 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კიდი:#01.10.17.037.036) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დე.დე.ან-ისთვის" (ს/კ 400181726) სარგებლობის უფლებით,იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.(#12-03192559-03)
10. ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა #76-ის მიმდებარედ 22 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:#01.10.13.028.054) პირდაპირი განკარგვის წესით ირაკლი საყვარელიძისათის (პ/ნ 01026007627) სარგებლობის უფლებით,იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.(#12-03192559-03)
11. ქალაქ თბილიში, ერეკლე II-ს ქუჩაზე მდებარე 1135 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი: #01.18.03.045.019) 16 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაგისთვის" (ს/კ 405194597) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.(#12-03192559-03)
12. „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №28-66-ის მიმდებარედ არსებული 2286 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.029.055) 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ღვინის ბიბლიოთეკისთვის"(ს/ნ:404552587) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე"(N12-03192559-03)
13. „ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 55635 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.17.01.065.065) 38 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩექინნ გრუპისთვის" (ს/ნ: 402113253) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე"(N12-03192559-03)
14. "ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N19ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.008.082.01.542) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე " (N12-03192558-03)
15. "ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩის I შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.304.01.446) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე " (N12-03192558-03)
16. "ქალაქ თბილისში, ევგენი ღვალაძის ქუჩა N22 (ყოფილი ავჭალა 1, კოტეჯი N29) (საკადასტრო კოდი: N01.11.17.004.069.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე " (N12-03192558-03)
17. „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების I მიკრორაიონის „ა" კორპუსის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.17.005.006) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"(N12-03192558-03)
18. "ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107 ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.002.01.517) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე " (N12-03192558-03
19. "ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის მასივის II მიკრორაიონის კორპუს N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.022.005.01.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე " (N12-03192558-03)

20. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებულ პირებთან გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე.(#12-03192558-03)
21. ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების 3 მიკრორაიონის კორპუს N19-ში (ს/კ N01.10.08.005.007.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" (N12-03192558-03)
22. აუქციონატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „აკა"-ს (ს/კ 402039744) შორის 2017 წლის 3 აგვისტოს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის" N9-365-31-21329 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (N12-031925560-03)
23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ააიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას" (ს/კ 201990079) შორის 2018 წლის 19 აპრილს გაფორმებულ „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ააიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის" (ს/კ 201990079) გათავისუფლების თაობაზე. (N12-031925568-03)
24. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №44-ის მიმდებარედ არსებული 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.008.036) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იასონისთვის" (ს/ნ: 203832317) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე"(12-031925571-03)

დღის წესრიგი დამტკიცდა კომისიის წევრების მიერ.

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა გაიოზ თალაკვაძემ. მისი განმარტებით, ვერ ესწრება რაიონების ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულება მესამე კვარტალში და რაიონული გამგეობების წერილობითი მოთხოვნით თანხების გადატანა ხდება მესამედან მეოთხე კვარტალში.

გზების მოვლა-შეკეთების პრგრამაში: მესამე კვარტლიდან მეოთხე კვარტალში გადააქვთ თანხა ნაძალადევის რაიონს- 47 788 ლარი, საბურთალოს რაიონს - 1483 000 ლარი, სამგორის რაიონს 150 000 ლარი, მთაწმინდის რაიონს 329 000 ლარი, დიდუბის რაიონს -400 000 ლარი. კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამაში, მესამედან მეოთხე კვარტალში გადააქვთ თანხები: ნაძალადევის რაიონს -850 000 ლარი, საბურთალოს რაიონს 119 896 ლარი, სამგორის რაიონს- 636 000 ლარი, მთაწმინდის რაიონს 540 000 ლარი, დიდუბის რაიონს -848 340,7 ლარი. გარდა ამისა „ავარიული შენობების გამაგრების" პროგრამას მესამე კვარტალში ემატება 450 000 ლარი, პროგრამის „კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებების" მესამე კვარტლის შესაბამისად შემცირების ხარჯზე. იზრდება სარეზერვო ფონდის მესამე კვარტლის გეგმა 400 000 ლარით. ასევე წარმოდგენილია დიდუბის რაიონის გამგეობის მოთხოვნა მისთვის მიკუთვნებული ასიგნებების წლიური გეგმის ცვლილებაზე. კერძოდ „სხვა სოციალური დახმარებების" პროგრამას ემატება 88540,5 ათასი ლარი, რაიონის პროგრამების „უფასო სასადილოებით მომსახურება", გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები" და „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები"-ს შემცირების ხარჯზე.

მომხრე-8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი რაიონის გამგეობა და საქალაქო სამსახური ითხოვს მათთვის მიკუთვნებულ პროგრამებში ასიგნებების გადანაწილებას, ასევე სარეზერვო ფონდის (კოდი 10 22) მესამე

კვარტალის გეგმა იზრდება 400 000 ლარით, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის, მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას დანართის შესაბამისად.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისში,სოფელ გლდანში, ავჭალის მასივის ტერიტორიაზე არსებული 90 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:#72.13.37.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

სოფელ გლდანში, ავჭალის მასივის ტერიტორიაზე არსებული 90 კვმ მიწის ნაკვეთი სიმბოლურ ფასად გადაეცემა ამხანაგობა „ავჭალა -2"-ს წყალმომარაგების ქსელისთვის გათვალისწინებული სატუმბი სადგურის განთავსების მიზნით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში,დიდი დიღომი, IV მიკრორაიონში, 25-ე კორპუსის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11 774 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.10.07.004.025) ყოფილი საბინაო-სამშენებ;ო კოოპერატივების წევრებისთვის /მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

მომხრე-8

60 ოჯახს, სხვადასხვა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წარმომადგენლებს გადაეცემათ, წილობრივად საერთო ჯამში 11774 კვმ მიწის ნაკვეთი, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი #27-ის მიმდებარედ არსებული 24 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:#01.15.04.015.013) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „რ ჯგუფისთვის" (ს/კ 404421737) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

კომპანიას გადაეცემა 24 კვმ მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წლიური საიჯარო ქირაა 4400 ლარი.იჯარის მოქმედების ვადა 2026 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა #7-ის მიმდებარდ არსებული 221 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი:01.18.03.062.008) 11 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალენისთვის" (ს/კ 404497665) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

შპს „გალენის“ გადაეცემა 11 კვმ მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წლიური საიჯარო ქირაა 2000 ლარი. იჯარის მოქმედების ვადა 2020 წლის 1 აგვისტომდე პერიოდი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთღებაში არსებული (#01.18.03.033.012; #01.18.03.033.010; #01.18.03.015.016; #01.18.03.015.019; #01.18.03.015.014 და #01.18.03.033.011 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის -საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირს -საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცემა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, საპატრიაქოს მიმდებარედ არსებული 425; 75 და 242 კვმ მიწის ნაკვეთები და ანჩისხატის ეკლესიის მიმდებარედ არსებული 49; 24 და 38 კვმ მიწის ნაკვეთები საგაზაფხულო გამწვანებითი სამუშაოების ჩატარების, მოწესრიგებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 862 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:#01.14.01.002.108) საჯარო სამართლის იურიდიული პირის -საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

862 კვმ მიწის ნაკვეთი (საკ/კოდი:#01.14.01.002.108) გადაეცემა, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის -საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას, გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ეკლესიის დამხმარე შენობა-ნაგებობების ფუნქციონირების მიზნით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრზე მდებარე 1367 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.007.615), ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 2173 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.11.001.168) და ქ. თბილისში, წურწუმიასა და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.050.017) შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ“-ისთვის (ს/კ 404520363) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N130 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და საიჯარო პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიების თაობაზე“.

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთი“ ითხოვს საიჯარო პირობების 22-ე მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებას, ვინაიდან კომპანიის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების არადროული შესრულება გამოიწვეულია კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზებიდან გამომდინარე. ამასთან კომპანია დამატებით განახორციელებს საინვესტიციო ვალდებულების ოდენობის გაზრდას 100 000 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ არსებული მდგომარეობით კომპანიის მიერ სრულად დასრულებულია მშენებლობის პროცესი

№01.17.01.050.017 საკადასტრო ერთეულზე და მიმდინარეობს ექსპლუატაციაში მიღების კანონით გათვალისწინებული პროცესი, №01.10.11.001.168 საკადასტრო ერთეულზე მოთხოვნილია მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება და შესაბამისი სამსახურიდან ელოდება პასუხს, ხოლო №01.72.14.007.615 საკადსტრო ერთეულზე 2019 წლის 28 ივნისს (AR1659801) გაიცა მშენებლობის ნებართვა.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ბალანჩივაძის ქუჩა #37-ის მიმდებარედ, 8 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კიდი:#01.10.17.037.036) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დე.დე.ან-ისთვის" (ს/კ 400181726) სარგებლობის უფლებით,იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

კომპანიას იჯარით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა 8 კვმ მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოსაწყობად. წლიური საიჯარო ქირაა 1160 ლარი, იჯარის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2029 წლის 1 თებერვლამდე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა #76-ის მიმდებარედ 22 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:#01.10.13.028.054) პირდაპირი განკარგვის წესით ირაკლი საყვარელიძისათის (პ/ნ 01026007627) სარგებლობის უფლებით,იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

ირაკლი საყვარელიძეს იჯარით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა 22 კვმ მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოსაწყობად. წლიური საიჯარო ქირაა 3200 ლარი.იჯარის მოქმედების ვადა 5 წელი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილიში, ერეკლე II-ს ქუჩაზე მდებარე 1135 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი: #01.18.03.045.019) 16 კვმ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაგისთვის" (ს/კ 405194597) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე

შპს „მაგის", იჯარით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა 16 კვმ მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წლიური საიჯარო ქირაა 3850 ლარი. იჯარის მოქმედების ვადა 2020 წლის 1 მიასამდე პერიოდი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:„ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №28-66-ის მიმდებარედ არსებული 2286 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.029.055) 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ღვინის ბიბლიოთეკისთვის"(ს/ნ:404552587) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე"

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე

შპს „ღვინის ბიბლიოთეკას", იჯარით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა 11 კვმ მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წლიური საიჯარო ქირაა 1600 ლარი. იჯარის მოქმედების ვადა 2023 წლის 1 თებერვლამდე პერიოდი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:„ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 55635 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.17.01.065.065) 38 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩექინნ გრუპისთვის" (ს/ნ: 402113253) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე"

მომხსენებელი– ნინო კვეტენაძე

შპს „ჩექინნ გრუპს", იჯარით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა 38 კვმ მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წლიური საიჯარო ქირაა 6850 ლარი. იჯარის მოქმედების ვადა 2029 წლის 22 თებერვლამდე პერიოდი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:"ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N19ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.008.082.01.542) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი -ნინო კვეტენაძე

მოქალაქე თენგიზ ჩხაიძეს სიმბოლურ დასად გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 32.06 კვმ საცხოვრებელი ფართი. თენგიზ ჩხაიძე დიდი ხნის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული ფართით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:"ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩის I შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.304.01.446) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი -ნინო კვეტენაძე

მოქალაქე ქეთევან ფრუიძეს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ მისამართზე მდებარე საცხოვრებელ ფართით, სიმბოლურ ფასად გადაეცემა 32.06 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ევგენი ღვალაძის ქუჩა N22 (ყოფილი ავჭალა 1, კოტეჯი N29) (საკადასტრო კოდი: N01.11.17.004.069.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე "

მომხსენებელი -ნინო კვეტენაძე

მოქალაქე გელა ღონღაძეს სიმბოლურ ფასად გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 55,91 კვმ საცხოვრებელი ფართი. გელა ღონღაძე დიდი ხნის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული ფართით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების I მიკრორაიონის „ა" კორპუსის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.11.17.005.006) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"(

მომხსენებელი -ნინო კვეტენაძე

მუხიანის დასახლების I მიკრორაიონის „ა" კორპუსის მიმდებარედ არსებული საცხოვრებელი ფართები, საერთო ჯამში 1166,10 კვმ ფართი საკუთრებაში გადაეცემა 23 ოჯახს, სიმბოლურ ფასად. ეს მოქალაქეები დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ ამ ფართებში.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:"ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107 ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.002.01.517) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი -ნინო კვეტენაძე

მოქალაქე მადლენა ბოგვერძეს სიმბოლურ დასად გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 21,35 კვმ საცხოვრებელი ფართი. მადლენა ბოგვერაძე დიდი ხნის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული ფართით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:"ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის მასივის II მიკრორაიონის კორპუს N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.022.005.01.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი -ნინო კვეტენაძე

მოქალაქე მალხაზ ჯარიაშვილს სიმბოლურ დასად გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 61,13 კვმ საცხოვრებელი ფართი. მალხაზ ჯარიაშვილი დიდი ხნის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული ფართით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებულ პირებთან გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე.

მომხსენებელი -ნინო კვეტენაძე

30 ოჯახს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცემათ საერთო ჯამში 2226,24 საცხოვრებელი ფართი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების 3 მიკრორაიონის კორპუს N19-ში (ს/კ N01.10.08.005.007.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

მომხსენებელი -ნინო კვეტენაძე

მოქალაქე შურა ქობალიას, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ მისამართზე საცხოვრებელი ფართით, სიმბოლურ ფასად გადაეცემა საკუთრებაში 70,68 კვმ ფართი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: აუქციონატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „აკა"-ს (ს/კ 402039744) შორის 2017 წლის 3 აგვისტოს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის" №-365-31-21329 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი -ნინო კვეტენაძე

შპს „აკას“ უნდა მოეწყო სპორტული მოედანი და სკვერი აუქციონში გამარჯვებიდან 2 წლის ვადაში და უნდა განეხორციელებინა 300 000 ლარის ინვესტიცია. მოსახლეობამ წინააღმდეგობა გაუწია სპორტული მოედნის მოწყობას იმ მოტივით, რომ თითქოს კომპანია აქ აპირებდა ხე-ნარგავების გაჩეხვას, ფაქტიურად ერთერთ ვალდებულებას არსებული ხე-ნარგავების შენარჩუნება წარმოადგენდა. საბოლოო ჯამში აღმოჩნდა რომ მოსახლეობას არასწორი ინფორმაცია ჰქონდა მიწოდებული, თუმცა ყოველივე ამის გამო შეფერხდა სამუშაოების ჩატარება. ამას დაერთო ახალი სამშენებლო რეგულაციების შემოღება და სატრანსპორტო კვლევა, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მხრიდან დადგინდა ხარვეზი, რის გამოსწორებასაც გარკვეული დრო დასჭირდა. კომპანია თანხამაა ვალდებულების შესრულების ვადის დაღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდაზე, თუმცა ითხოვს ვადის გაგრძელებას 6 თვით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ააიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“ (ს/კ 201990079) შორის 2018 წლის 19 აპრილს გაფორმებულ „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ააიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ (ს/კ 201990079) გათავისუფლების თაობაზე.

მომხსენებელი -ნინო კვეტენაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას 2018 წელს უსასყიდლოდ გადაეცა მიწის ნაკვეთები ვარკეთილი 3-ის კორპ.425-ის მიმდებარედ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობის მიზნით. ფედერაციამ ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ვინაიდან აღმოჩნდა რომ გადაცემულ ტერიტორიაზე გადიოდა 250 მმ წყლის მილი, რომლის გადატანა უნდა შეთანხმებულიყო შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“. ასევე მიწის ნაკვეთზე იყო უფუნქციო ელექტროგადამცემი ხაზი, რომლის დემონტაჟიც უნდა მომხდარიყო. აქედან გამომდინარე, ფედერაცია ითხოვს ვალდებულებების შესრულების ვადის გაგრძელებას და ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის გამო. დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებას.

მთავრობის განკარგულებით ვალდებულების შესრულების ვადა გაგრძელდა ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი წლის ვადით და ფედერაცია გათავისუფლდა დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან. მთავრობის განკარგულება წარმოდგენილია შესათანხმებლად.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:„ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №44-ის მიმდებარედ არსებული 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.008.036) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იასონისთვის“ (ს/ნ: 203832317) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“

მომხსენებელი -ნინო კვეტენაძე

შპს „იასონს“ იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა 27 კვმ მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოსაწყობად.წლიური საიჯარო ქირაა 5200 ლარი,იჯარის მოქმედების ვადა 5 წელი.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

ოთარ ჯრიგოლია